მე - აქტიური ამომრჩეველი

ინფორმირებიდან ქვეყნის მართვამდე!

პროექტის განმახორციელებელი:
სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო

პროექტის მხარდამჭერი:
საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტის მიზანი

ახალგაზრდა ამომრჩეველთა ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებას მათი თანატოლების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით.

პროექტის ამოცანები:

- ახალგაზრდა ლიდერთა ჯგუფის ჩამოყალიბება, მათი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა;
- ლიდერთა ჯგუფის მიერ თავიანთ თემებში/სოფლებში „მრგვალი მაგიდების“ ორგანიზება/ჩატარება;
- შეხვედრების ორგანიზება მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ექსპერტებთან.

განხორციელებული აქტივობები

- ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელზეც მოწვეული იყვნენ რეგიონში მომუშავე მასმედიის წარმომადგენლები. მათ მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის მიზანის და მის დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

- განხორციელდა ახალგაზრდული ჯგუფის (ლიდერთა ჯგუფი) დაკომპლექტება, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო 30 ახალგაზრდის შერჩევა, 10-10 მონაწილე გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტიდან (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი) - ჩოხატაურში არსებული დაბალი აქტიურობიდან გამომდინარე საბოლოოდ შეირჩა: ოზურგეთში - 11 ახალგაზრდა; ლანხუთში - 10 ახალგაზრდა; ჩოხატაურში - 9 ახალგაზრდა.

- ჩატარდა შეხვედრები ჯგუფის წევრებთან პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების გათვალისწინებით. ახალგაზრდებისათვის მიგვეწოდებინა დეტალური ინფორმაცია პროექტის მიზნების, დაგეგმილი აქტოვობების, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, და მათთან ერთად დავგეგმეთ შემდგომი აქტივობები.

„ლიდერთა ჯგუფის“ წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგ კურსი

„ლიდერთა ჯგუფის“ წევრებმა თავის თემში/სოფელში ჩაატარეს „მგვალი მაგიდები“. სულ ჩატარდა 116 „მრგვალი მაგიდა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 420 ახალგაზრდამ.

„ლიდერთა ჯგუფის“ წევრებისათვის ჩატარდა 5 შეხდევდრა სახვადსახვა სფეროს ექსერტებთან

„ლიდერთა ჯგუფის“ წევრებისათვის ჩატარდა შეხვედრები მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებთან

„ლიდერთა ჯგუფის“ წევრებისათვის მოეწყო ვიზიტი საქართველოს პარლამენტში

გამოკვეთილი პრობლემები

- ახალგაზრდებში და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში არჩევნები და მასში მონაწილეობა ნაკლებად საინტერესოა, იმ მოტივით, რომ მათი მონაწილეობით მაინც არაფერი შეიცვლება.

- ახალგაზრდებს და ზოგადად სამიზნე სოფლების/თემების მოსახლეობას ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რა ფუნქციები აკისრიათ სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს და სოფლის რწმუნებულს.

- სოფლებში/თემებში უმეტესწილად არ არის ფართი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც მცირე ჯგუფის შეკრება და შეხვედრის წარმართვა.

- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ნაკლები დაინტერესება მიიღოს მონაწილეობა ახალგაზრდებთან/მოსახლეობასთან შეხვედრებში.

მადლობთ ყურადღებისათვის !